ართანა ლოპოტა

N161-15022022

15 თებერვალი 2022 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ შპს „ართანა ლოპოტა" თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეგმავს 5.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ლოპოტა 1 ჰესი"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

ზემოაღნიშნულ პროექტზე 2018 წლის 3 ივლისს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია N 2-535 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით სამშენებელო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული იყო მდ. ლოპოტას მარცხენა ნაპირზე, შემდეგ საკადასტრო კოდით მითითებულ ტერიტორიაზე ს/კ:53.14.46.036. აღნიშნული სამშენებელო ბანაკის პროექტი შეთანხმებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (N 4743/01 2020 წლის 22 მაისი).

სამშენებლო სამუშაოების ოპტიპიზაციის და გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით კომპანიის მიერ განხორციელდა პროექტით დაგეგმილი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის ცვლილება. სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილია მდინარე ლოპოტას მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელზეც შპს ,,ართანა ლოპოტა"-ს მიერ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან" გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება (ს/კ: 53.18.31.133).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის საფუძველზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადდა ლოპოტა 1 ჰესის მშნებლობისათვის, სამშენებლო ბანაკის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის ცვლილების სკრინინგი ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

შპს ართანა ლოპოტა
მთავარანგელოზის ქუჩა N30
ქ. თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა : bimnadze@dekahydro.com
ს/კ 406128220

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 2868
"16" 02 2022

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელექტრონული ვერსია;

პატივისცემით,

შპს „ართანა ლოპოტა"-ს დირექტორი

ბიძინა იმნაძე

შპს ართანა ლოპოტა
მთავარანგელოზის ქუჩა N30
ქ. თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა : bimnadze@dekahydro.com
ს/კ 406128220